

## უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა

### საქართველო

მეათე ჯგუფური სესია

**24 იანვარი - 4 თებერვალი 2011**

(მიმოხილვა წარდგენილ იქნა 2010 წლის ივლისში)

წარმდგენ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია:

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

**ადამიანის უფლებათა ცენტრი**

**კონსტიტუციის 42-ე მუხლი**

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირი**

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისათვის ალტერნატიულ ანგარიშის წარმდგენი კოალიცია შედგება სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჯგუფისაგან, რომელთა ინტერესის სფეროს ადამიანის უფლებები წარმოადგენს. ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს ადამიანის უფლებათა სამართლებრივ დავების ხანგრძლივი და ღრმა გამოცდილება აქვთ როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად იმ საქმეებს ეფუძნება, რომლებიც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა აიღეს თავზე. ასე რომ, ის პირველწყაროზე დაფუძნებულ სანდო ინფორმაციას წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ აღნიშნული ანგარიშის შედგენაში, იმედოვნებენ, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები მხედველობაში იქნება მიღებული მთავრობის მიერ და სრულად აისახება საქართველოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში.

საკონტაქტო პირი:

თამარ ხიდაშელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თავჯდომარე

ჯ. კახიძის ქ. 15, თბილისი, საქართველო, 0102

ტელ: (+995 32) 95 80 33

(+995 32) 93 61 01

E-mail: [tamarkhidasheli@gyla.ge](mailto:tamarkhidasheli@gyla.ge)

## I. შესავალი

1. აღნიშნული ანგარიში მომზადდა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ, ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის მხარდაჭერით. ანგარიში ეფუძნება არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტირებული ინფორმაციის ანალიზსა და მოსაზრებებს, ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმის ქვეშ არსებული ინფორმაციის მომზადების ძირითადი დირექტივების შესაბამისად. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს პერიოდს 2006 წლიდან 2010 წლამდე.

## II. საკვანძო ინფორმაცია

2. საქართველოს კონსტიტუციით, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობას წარმოადგენს დემოკრატიული რესპუბლიკა პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტითა და საკანონმდებლო ორგანოთი - საქართველოს პარლამენტით.

3. თუმცა, 2004 წლის თებერვალში, ვარდების რევოლუციების შემდეგ განხორციელებულმა ცვლილებებმა საქართველოს საკონსტიტუციო სისტემის ტრანსფორმაცია მოახდინა, შეცვალა რა საპრეზიდენტო მოდელი ნახევრად საპრეზიდენტოთი. ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ისედაც არაპროპორციულად ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლება და ბალანსი დაარღვია სახელისუფლებო შტოებს შორის. მართალია წარმოდგენილ იქნა მთავრობის, როგორც ორგანოს ცნება, თუმცა არსებითი აღმასრულებელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში მოექცა, ერთადერთი ცვლილება შეეხო პასუხისმგებლობის საკითხს, კერძოდ, პასუხისმგებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებებზე დაეკისრა არა პრეზიდენტს, არამედ მთავრობას. მეტიც, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები შესუსტდა; კერძოდ, პარლამენტის მიერ ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების პროცედურები უფრო გართულდა, პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის პროცედურა კი გამარტივდა.

4. 2008 წელს საქართველოში ჩატარებულმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა, რომელიც, საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნით მიჩნეულ იქნა საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ და არასრულყოფილად, ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის პოლარიზება მოახდინა. საპარლამენტო არჩევნების

მასიურ გაყალბებასა და ოპოზიციის აქტივისტთა ფართოდ გავრცელებულ მუქარებსა და ფიზიკურ ზეწოლაზე მითითებით<sup>1</sup>, ოპოზიციური ძალების კოალიციამ უარი განაცხადა პარლამენტში შესვლაზე. ასე რომ, მმართველ პარტიას პრეზიდენტ სააკაშვილის თაოსნობით კონსტიტუციური უმრავლესობა უჭირავს პარლამენტში - საკმარისი იმისათვის, რომ კონსტიტუცია შეცვალოს საზოგადოებასთან და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციის გარეშე. მხოლოდ 15 ოპოზიციონერი პარლამენტარით დაკომპლექტებულ პარლამენტს არ აქვს საკმარისი ინსტიტუციუნალური ძალა და პოლიტიკური ნება პრეზიდენტის გადაწყვეტილებათათვის წინააღმდეგობის გასაწევად, მათ შორის იმ კანონპროექტებზე, რომლებიც ქვეყანაში არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე ახდენს გავლენას.

### III. სასამართლო

5. კონსტიტუცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სასამართლოს. თუმცა, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა დღითიდღე კლებულობს. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა სერიოზულ წუხილს იწვევს განსაკუთრებით იმ საქმეებთან მიმართებაში, სადაც მმართველ პარტიას განსაზღვრული პოლიტიკური ინტერესი აქვს. საქმეთა შესაძლო შედეგის განხილვის დამკვიდრებული პრაქტიკა მოსამართლეთა მიერ სასამართლოების თავმჯდომარეებთან ერთად მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში ჩარევად არის მიჩნეული.

6. უკიდურესად მაღალი ბრალდების ხარისხი, სისხლისამართლებრივი ბრალდების მოხსნის 1%-ზე ნაკლები რაოდენობით ამტკიცებს, რომ სასამართლო ხელისუფლება მბრალდებლის გადაწყვეტილებათა ბეჭდის დასმის როლს ასრულებს.

7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მოსამართლეთა დანიშვნასა და გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანოს რეფორმაცია 2007 წელს ვენეციის კომისიის კრიტიკის პასუხად განხორციელდა. თუმცა, საბჭოში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით პრეზიდენტს ჯერ კიდევ აქვს ძალა ვეტო განუცხადოს მთავრობისადმი არალოიალურად განწყობილ მოსამართლეთა კანდიდატებს<sup>2</sup>. მართალია, საბჭოს

---

<sup>1</sup> ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირებლო მისიის ბოლო ანგარიში, საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი, საქართველო, გვერდი 4.

<sup>2</sup> საქართველოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 50(3)-ე მუხლი

უმრავლესობა დაკომპლექტებულია სასამართლოს ხელისუფლების წარმომადგენლებით, მისი წევრობის კანდიდატების წარდგენა ხდება ექსკლუზიურად უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მიერ, რომელიც პრეზიდენტის მოკავშირეს წარმოადგენს.

8. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც მოქმედებს, როგორც პოლიტიკური ორგანო, შეუძლია ზეწოლა განახორციელოს მოსამართლეებზე მათ წინააღმდეგ დისციპლინარული პასუხისმგებლობის სამართალწარმოების დაწყებით ბუნდოვნად განსაზღვრულ საფუძვლებზე, როგორცაა „უხეში კანონდარღვევა“ ან „კანონის არასათანადო ინტერპრეტაცია, რომელიც არ ეფუძნება მოსამართლის შიდა რწმენას.“<sup>3</sup>

9. მოსამართლეთა ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის ინსტიტუტი, მოსამართლის წინასწარი თანხმობის გარეშე, მოსამართლეთა მიერ გათანაბრებულია გათავისუფლებასთან.

*რეკომენდაციები:*

- *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების პროცესი უნდა გაგრძელდეს. მოსამართლეთა დანიშვნის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას უბრალო უმრავლესობის მიერ, პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ დანიშნული წევრების საჭირო თანხმობის გარეშე;*
- *საბჭოს წევრების კანდიდატების წამოყენება პირდაპირ მოსამართლეთა მიერ უნდა მოხდეს;*
- *თანხმობის გარეშე მოსამართლეთა თანამდებობის შეცვლის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს;*
- *მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინარული სამართალწარმოების აღძვრის საფუძვლები უნდა შესწორდეს და ნათლად განისაზღვროს.*

#### **IV. ადამიანის უფლებათა ადგილზე დაცვა და გაშუქება**

##### **ა) სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება**

10. სიცოცხლის უკანონო ხელყოფა გადაჭარბებული ძალის გამოყენების შედეგად კანონდამცველების მიერ, ეფექტური გამოძიებების ნაკლებობა ამ საქმეებზე და რბილი განაჩენები იმ მცირე რაოდენობის საქმეებში, რომლებმაც სასამართლოს

---

<sup>3</sup> „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული სამართალწარმოების კანონის“ მეორე მუხლი

მიადწიეს, - საქართველოს დიდი ხანია აწუხებს ეს პრობლემა. ათობით ასეთი პრობლემის დოკუმენტირება მოხდა 2004-2009 წლებში. ყველა ეს საქმე განსაზღვრულ ტენდენციას წარმოაჩენს: კანონდამცველები გადაჭარბებულ ძალას ძირითადად იყენებდნენ ცხელ კვალზე სპეციალურ ოპერაციებში რათა დაეკავებინათ სავარაუდო დამნაშავე ან მოეხდინათ დანაშაულის პრევენცია; ჩვეულებრივი მიზეზი, რომლითაც ხელისუფლების წარმომადგენლები ძალის გამოყენებას ამართლებდნენ იყო თავდაცვა, თუმცა, ხშირ შემთხვევებში, ხელმისაწვდომი მტკიცებულებების თანახმად, სავარაუდო დამნაშავეები შეუიარაღებელნი იყვნენ და იარაღი მათ მოკვლის შემდეგ ჩაუდეს; ხშირად ის მიზანი, რომლისთვისაც კანონდამცველები იღვწოდნენ ძალის გამოყენებისას არ იყო ლეგიტიმური ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად<sup>4</sup>; ძალის გამოყენება არ იყო ლეგიტიმური მიზნის პროპორციული<sup>5</sup> და არ აკმაყოფილებდა აბსოლუტური საჭიროების მოთხოვნებს.<sup>6</sup>

**11. გამოძიებისა და მართლმსაჯულების მარცხი.** დღემდე, არავინ ყოფილა მიჩნეული პასუხისმგებლად პოლიციელთა მიერ ადგილზე განხორციელებული მკვლელობის საქმეებზე<sup>7</sup>. მაგალითად, გამოძიება იმის გასარკვევად მოქმედებდნენ თუ არა კანონდამცველები კანონმდებლობის შესაბამისად თბილისის #5 ციხის ამბოხში 2006 წელს, ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამბოხის დროს, სპეცრაზმმა 7 პატიმარი მოკლა და 22 დაჭრა.

**12. ძალის გამოყენების დარეგულირება კანონმდებლობით.** ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც კანონდამცველების მიერ ლეტალური იარაღის გამოყენების საკითხს არეგულირებს არის „პოლიციის შესახებ კანონი.“ ძალის გამოყენების ლეგიტიმური საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლში წარმოდგენილ სიას სცდება, მისგან განსხვავებით, ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ძალის გამოყენებას მარტოოდენ საკუთრების

<sup>4</sup> მაგალითად, გამცემლიძის საქმე, როცა პოლიციელები უკან დაედევნენ მას სიჩქარის გადაჭარბების გამო და ცეცხლის გაუხსნეს, რამაც სასიკვდილო შედეგი გამოიღო

<sup>5</sup> მაგალითად, კიზირიას საქმე, რომელსაც 53 ტყვია ესროლეს, მათ შორის თავში, მაშინ, როცა დამტკიცებული არ არის, რომ კიზირია შეიარაღებული იყო

<sup>6</sup> მაგალითად, აფრასიძის საქმე, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ ძალის გამოყენების გარეშე

<sup>7</sup> გარდა გირგვლიანის საქმისა, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები, მსჯავრდებულნი ახალგაზრდა კაცის სიკვდილში, პრეზიდენტმა შეიწყალა ორნახევარი წლის შემდეგ.

დაცვის მიზნითაც. ასევე, კანონმდებლობა არ აწესებს მკაფიო მოთხოვნას, რომ ძალის გამოყენება ყველა შემთხვევაში ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს. 2009 წელს, კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა, მოხდა რა არალეტალური იარაღის გამოყენების ლეგალიზება, თუმცა არ მომხდარა იმ წესების შემუშავება, რომლებიც განსაზღვრავდა რა ვითარებაში შეიძლება არალეტალური იარაღის გამოყენება.

**13. გაუჩინარება.** 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, საქართველოს მთავრობა უკანონოდ ახორციელებს ტყვეთა გაცვლას ცხინვალის *დე ფაქტო* ხელისუფლებასთან. სულ მცირე 5 ეთნიკურად ოსი პიროვნება გაუჩინარდა ქართველი ხელისუფლების მიერ სასამართლოს მიერ მათი გათავისუფლებისთანავე 2009 წლის აგვისტოში. მხოლოდ 2010 წლის დეკემბერში გადაეცა ისინი ცხინვალის ხელისუფლებას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ. თუმცა, სისხლისსამართლებრივი საქმე არ აღძრულა, შესაბამისად, არავის დაკისრებია პასუხისმგებლობა 5 ოსის იძულებით გაუჩინარების გამო 4 თვის განმავლობაში.

**14. პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენება.** 2009 წელს პოლიციელთა მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების მაგალითების მკვეთრი ზრდა აღინიშნება. 2009 წლის 6 მაისს, პოლიციამ პლასტიკური ტყვიები გამოიყენა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე სერიოზული დაზიანებისა თუ მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად. შედეგად, ათობით ადამიანი დაზიანდა, ორმა თვალი დაკარგა. პლასტიკური ტყვიების გამოყენების უფლებამოსილება იმ დროინდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო. პროკურატურას არ აღუძრავს გამოძიება ამ შემთხვევაზე.

**15.** 2009 წლის 15 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ შეკრებილი მშვიდობიანი დემონსტრანტებს თავს დაესხნენ და სცემეს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა პოლიციელებმა. შედეგად, რამდენიმე დემონსტრანტი სერიოზულად დაშავდა. მშვიდობიანი დემონსტრაციის ორგანიზატორები, ახალგაზრდა აქტივისტები, რომელთაც ადრეც გამოუთქვამთ თავიანთი კრიტიკა მთავრობის წინააღმდეგ, დააკავეს, მთავარი სამმართველოს შენობაში მიიყვანეს და სასტიკად სცემეს. 5 ახალგაზრდას ერთთვიანი ადმინისტრაციული დაკავება მიუსაჯეს „პოლიციელის კანონისმიერი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის გამო.“ არცერთ მათგანს არ მისცეს სასამართლოს პროცესზე ადვოკატის გამოყენების უფლება. მიუხედავად მრავალი თხოვნისა, ხელისუფლებას

თავდასხმაში მონაწილე პირების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაუწყია.

**16. პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები.** განუწყვეტელ მშვიდობიან დემონსტრაციებს 2009 წელს მოჰყვა პოლიტიკური პარტიის აქტივისტებისა და ლიდრების პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები, განსაკუთრებით რეგიონებში. თითქმის ყველა ამ საქმეში წამოყენებული ბრალდებებს იარაღის/ნარკოტიკების ფლობა წარმოადგენს. ბრალდებები პოლიციელთა ჩვენებებს ეფუძნება; არავითარი სასამართლო მტკიცებულება ამოღებული იარაღის თაობაზე, არავითარი ვიდეო მტკიცებულება ჩხრეკისა და კონფისკაციის პროცედურაზე წარმოდგენილი არ არის.

#### *რეკომენდაციები*

- *გამოძიებულ იქნას კანონდამცველების მიერ სიცოცხლის უკანონო ხელყოფის ყოველი საქმე, სისხლისსამართლებრივი დევნა აღიდრას და მართლმსაჯულება განხორციელდეს პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ;*
- *ცვლილებები შევიდეს „პოლიციის შესახებ კანონში“ და შეუსაბამდეს საერთაშორისო სტანდარტებს; დამატებითი წესები შემუშავდეს არალეიტალური იარაღის გამოყენების თაობაზე;*
- *გამოძიებულ იქნას გაუჩინარების ყოველი საქმე, სისხლისსამართლებრივი დევნა აღიდრას და მართლმსაჯულება განხორციელდეს პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ;*
- *შეწყდეს დაუსჯელობის სინდრომი კანონდამცველების მიმართ; დაკავების თუ დაპატიმრების დროს ცუდად მოპყრობის ყოველი საქმე გამოძიებულ იქნას და პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ მართლმსაჯულება განხორციელდეს;*
- *დაუყოვნებლივ შეწყდეს პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები. პოლიტიკურ საფუძველზე დაკავებული ყოველი ადამიანი უნდა გათავისუფლდეს.*

#### **ბ) წამება, სასტიკი მოპყრობა და დასჯა**

**17. მთავრობის, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აგრძელებენ წამების, სასტიკი მოპყრობისა და დასჯის გამოყენებას შეზღუდული პასუხისმგებლობით. არსებობს პოლიციისა და სასჯელაღსრულების ინსტიტუტების**

მიერ პოლიტიკური პარტიის აქტივისტების, მათი ოჯახის წევრებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ წამების, სასტიკი მოპყრობისა და დასჯის რამდენიმე დოკუმენტირებული საქმე. ჩვეულებრივ, ცნობებს წამების შესახებ არ მოჰყვება ადეკვატური და მიუკერძოებელი გამოძიება. პროკურატურა ხშირად ასეთ შემთხვევებს აკვალიფიცირებს როგორ „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“ და არა „წამება“ ან „არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა.“

#### *რეკომენდაციები*

- პროკურატურამ უნდა შეცვალოს სტრატეგია და ადეკვატური კვალიფიკაცია მისცეს წამებისა და ცუდად მოპყრობის შემთხვევებს;*
- პოლიციასა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ცუდად მოპყრობის ყოველი შემთხვევა ადეკვატურად უნდა იქნას გამოძებული, პასუხისმგებელი პირები მართლმსაჯულებას წარედგინონ.*

#### **ციხის პირობები**

18. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა უმრავლესობაში პატიმართა გადასვების პრობლემაა. აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია მთავრობის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკით. 2003 წლის შემდეგ ციხის მოსახლეობა დაახლოებით 300 %-ით გაიზარდა. შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ნაწილში, საპატიმროებს არ აქვთ საშუავე მოწყობილობები შეზღუდული სახით არის წარმოდგენილი, სამზარეულოები არ აკმაყოფილებენ სანიტარულ პირობებს, საკნები ნესტიანია, საკნებში მღრღნელები და ბაღლინჯოებია (ქუთაისის #2 და ქსნის #7 სასჯელაღსრულების დაწესებულება).

19. არსებული კანონმდებლობა საშუალებას არ აძლევს პატიმრებს ადეკვატური კონტაქტი ჰქონდეთ თავიანთ ოჯახებთან. ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი შეხვედრების ინსტიტუტი 2006 წელს გაუქმდა. ახალი სასჯელაღსრულების კანონის მიხედვით, მხოლოდ არასრულწლოვან დამნაშავეებს ექნებათ უფლება ხანგრძლივი ვიზიტებზე; სრულწლოვან პატიმრებს ექნებათ მხოლოდ მოკლევადიანი, ერთ საათამდე ვიზიტების უფლება.

20. ახალი კანონი არ ცვლის სასჯელაღსრულებითი დაწესებულების მოკლე ვადით დატოვების ძველ წესს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის განცხადების თანახმად, ამ საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შეხვლიდან (2009 წლის სექტემბერი) 2010 წლის აპრილამდე, მხოლოდ ცამეტ

პატიმარს მიეცა უფლება სასჯელაღსრულებითი დაწესებულების მოკლე ვადით დატოვებაზე.

21. სამედიცინო მკურნალობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ერთ–ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. პატიმრებს არ უტარდებათ ადეკვატური და დროული მკურნალობა, რის შედეგადაც დაახლოებით 100 პატიმარი კვდება ყოველ წელს. სერიოზულად დაავადებული პატიმრების სასჯელაღსრულებითი დაწესებულების საავადმყოფოში გადაყვანა, ჩვეულებრივ, დაყოვნებულია, მანამ, სანამ ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს არ მიაღწევს. პატიმრებს არ უტარდებათ გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა რეგულარულ საკნებში.

*რეკომენდაციები*

- დებულება, რომლის მიხედვითაც დაკავება და დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ბოლო საშუალება, მკაცრად უნდა იქნას დაცული. კონკრეტული ზომები უნდა იქნას მიღებული დაკავებისა და დაპატიმრების კანონით დადგენილი ალტერნატიული ზომების გამოყენების გაზრდისათვის.
- წარმოდგენილ უნდა იქნას გრძელვადიანი ვიზიტების უფლება;
- უნდა შეიცვალოს სამედიცინო მკურნალობის სისტემა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში;

**ც) გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება**

**გამოხატვისა და მედიის თავისუფლება**

22. კანონმდებლობა, რომელიც გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას არეგულირებს, სანაქებო დებულებებს შეიცავს, რომლებმაც პრესის თავისუფლებასა და მთავრობის მიერ კონტროლირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უნდა შეუწყოს ხელი. თუმცა, ამ კანონების განხორციელებისათვის სერიოზული დაბრკოლებები არსებობს.

23. კანონმდებლობის მიხედვით, “საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 10 დღისა.” თუმცა, როგორც წესი, საჯარო ორგანოები არ ემორჩილებიან დაუყოვნებლობის სამართლებრივ მოთხოვნას, ანდა საერთოდ არ გასცემენ მოთხოვნილ ინფორმაციას. აღნიშნული პრაქტიკის წინააღმდეგ მიმართულ

პროტესტის საერთოეროვნული გამოვლინება იყო 2010 წლის 3 მაისს, 16 რეგიონალური გაზეთი მიერ გამართული საერთო აქცია, რომლებმაც თავიანთი გაზეთების პირველი გვერდი მხოლოდ ერთი წინადადებით დაბეჭდეს: *მოგვეცით საჯარო ინფორმაცია*.

24. ელექტრონული მედია, კერძოდ, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოქმედი ეროვნული სატელევიზიო არხები მკაფიოდ პრო-სამთავრობოდ არის განწყობილი, ინგორირებას უკეთებენ რა კრიტიკულ შეხედულებებსა და სოციალურ პრობლემებს. ორი კერძო არხის, *რუსთავი 2*-სა და *იმედის* მესაკუთრეთა ვინაობა კონფიდენციალურია საზოგადოებისათვის. თუმცა, ორივე სატელევიზიო არხის წინა მესაკუთრეები (ან მათი ოჯახის წევრები) კითხვის ქვეშ აყენებენ იმ მოქმედებათა სამართლიანობას, რომლებმაც ისინი საკუთრებით უფლებისაგან გაძარცვა.

25. განათლების სამინისტრო ზღუდავს მასწავლებელთა უფლებას თავისუფალი ურთერთობა ჰქონდეთ მედიასთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართვის თანახმად, საჯარო სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს სამინისტრომ აუკრძალა მედიასთან ურთიერთობა სამინისტროს პრეს-ცენტრის ნებართვის გარეშე.

*რეკომენდაცია:*

- *სამართლებრივი დებულება, რომელიც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 10 დღისა, მკაცრად უნდა იქნას დაცული ყველა სამთავრობო ორგანოს მიერ.*
- *ეფექტური ზომები უნდა იქნას მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ საჯარო მედიამ პატივი სცეს მრავალფეროვნებასა და ბალანსს თავის პროგრამებში.*
- *ნათელი მოეფინოს სატელევიზიო არხების რუსთავი 2-სა და იმედის გასხვისებასთან დაკავშირებულ საექვო გარემოებებს ეფექტური, ობიექტური და გამჭვირვალე გამოძიების საშუალებით;*
- *ეროვნული ელექტრონული მედიის საკუთრების საკითხი საჯარო უნდა გახდეს კანონით;*
- *განათლების სამინისტრომ უნდა შეცვალოს პოლიტიკა მასწავლებლების მედიასთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით.*

## სექცია მეორე: მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

26. თუმცა კონსტიტუცია გაერთიანების თავისუფლების გარანტიას იძლევა, ბოლო წლებში არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო ხელს არ უწყობს ამ უფლების განხორციელებას. 2007 წელს, მთავრობამ ძალადობრივად დაშალა მშვიდობიანი დემონსტრაცია გადამეტებული ძალისა და უკანონო იარაღის გამოყენებით (მაგ: პლასტიკური ტყვიები, საცრემლო გაზი და სხვ.), ათობით მონაწილე სერიოზულად დაშავდა, სპეციალურ სამიზნეს წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. არავინ ყოფილა მიჩნეული პასუხისმგებლად აღნიშნულ მოქმედებებზე.

27. დოკუმენტირებულია არაიდენტიფიცირებული პირების მიერ დემონსტრანტებზე თავდასხმისა და ძალადობის უამრავი შემთხვევა 2009 წლის აპრილიდან ივლისამდე. ჩვენებები მეტყველებს პოლიციის მხრიდან რეაქციის ნაკლებობაზე, რომლებიც ზოგ შემთხვევაში დადანაშაულებულები არიან თავდასხმის იგნორირებაში. აღნიშნული საქმეები დღემდე არ გამოძიებულა.

28. დემონსტრაციებისას, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ორ შემთხვევაში გამოიყენეს უკანონო იარაღი (პლასტიკური და რეზინის ტყვიები) და გადაჭარბებული ძალა გამოიყენეს დემონსტრატორების წინააღმდეგ.

29. არავის დაკისრებია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებებისათვის. იმ კანონდამცველებთა ვინაობა, რომელთაც, უფლებამოსილი პირების თანახმად, ადმინისტრაციული სანქციები დაეკისრათ, დაფარულია საზოგადოებისათვის.

30. 2009 წლის ივლისში, პარლამენტმა დაჩქარებული ტემპით მიიღო ცვლილებები, რომლებიც ზღუდავს შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას. ამ ცვლილებების მიზანია საჯარო ორგანოების შენობების ტერიტორიას დააშოროს დემონსტრაციები.

31. იგივე ცვლილებები იქნა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამ ცვლილებებზე დაყრდნობით, შეკრებებისა და მანიფესტაციის კანონის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ჯარიმა და ადმინისტრაციული დაკავება 90 დღემდე.

32. ამ ორი კანონის კომბინაციას გამოგნებელი ეფექტი აქვს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებაზე

*რეკომენდაციები:*

- 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები ადეკვატურად უნდა იქნას გამოძიებული, მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალადობრივ გაფანტვაზე პასუხისმგებელი პირები იდენტიფიცირებული უნდა იქნან და წარედგინონ მართლმსაჯულებას;
- არაიდენტიფიცირებული პირების მიერ მშვიდობიან დემონსტრატებზე თავდასხმის ყველა შემთხვევა ოპერატიულად და ობიექტურად უნდა იქნას გამოძიებული. უკანონო ბრძანების გამცემი და განმახორციელებელი პირები იდენტიფიცირებული უნდა იქნას და წარედგინონ მართლმსაჯულებას;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების ცვლილებები, ისევე როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის შესაბამისი დებულებები უნდა შესწორდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### **სექცია მესამე: გაერთიანების თავისუფლება**

33. მთავრობასთან დაახლოებული მედიისა და მმართველი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ შეიმჩნეოდა ნეგატიური, არადაბალანსებული და ხშირად საფუძველს მოკლებული შეხედულებების გავრცელების ტენდენცია საქართველოს არასამთავრობო ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების წინააღმდეგ, უწოდებდნენ რა მათ კორუმპირებულ, ერის მოღალატე, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მომუშავეთ და სხვ. ამან ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფებისათვის ძალზედ არასასიამოვნო გარემო შექმნა.

*რეკომენდაციები:*

- მთავრობამ უნდა შეწყვიტოს კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების მარგინალიზაცია.

### **მეოთხე სექცია: საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება**

34. 2008 წლის საარჩევნო პროცესი (საპრეზიდენტო და საპარლამენტო), ისევე როგორც 2010 წელს (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები), ხასიათდებოდა მრავალი დარღვევით, მათ შორის გაყალბებები ხმის დათვლისას, ამომრჩეველთა, დამკვირვებელთა და ოპოზიციონერ დამკვირვებელთა დაშინება, ადმინისტრაციული რესურსების მასიური გამოყენება მმართველი პარტიის მიერ და სხვ.

35. ბოლო წლებში პოლიტიკურად მოტივირებული დევნის ათობით საქმის დოკუმენტირება მოხდა, მათ შორის დაპატიმრების. ასეთი გარემო ხელს უშლის პოლიტიკურ მრავალფეროვნებას და საფრთხეში აყენებს ქვეყნის საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

*რეკომენდაციები:*

- კონკრეტული ზომები უნდა იქნას მიღებული უსაფრთხო და ქმედუნარიანი გარემო უზრუნველსაყოფად მოქალაქეთა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან მნიშვნელოვანი პოლიტიკური მონაწილეობისათვის.
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც მმართველ პარტიას ნებას რთავს შეუზღუდავად ისარგებლოს ადმინისტრაციულ რესურსებით, უნდა შესწორდეს ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

### **მეხუთე სექცია: შრომითი უფლებები**

36. საქართველოს შრომის კოდექსის მე-24 მუხლის თანახმად, დამქირავებლის მიერ განსაზღვრული შრომითი დღის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დამქირავებელი ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში ორმოცდაერთ საათს. აღნიშნული მუხლით, დამქირავებელს გადაჭარბებული თავისუფლება აქვს მინიჭებული რათა სურვილისამებრ განსაზღვრონ სამუშაო საათების რაოდენობა კვირის განმავლობაში.

37. საქართველოს შრომითი კოდექსის თანახმად, (მუხლი 37–ე, პარაგრაფი „დ,“ მუხლი 38–ე, პარაგრაფი 1) „შრომით კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი არის კონტრაქტის დარღვევა,“ რაც დამქირავებელს დაქირავებულის უფლებების დარღვევისა და სურვილისამებრ მოქმედების უფლებას აძლევს. შრომით კოდექსი დაქირავებულთან შრომითი ხელშეკრულების გაუქმების საშუალებას იძლევა ყოველგვარი საფუძვლისა და ახსნა–განმარტების გარეშე. ეს ხშირად ხდება დაქირავებულის დისკრიმინაციის გამო, მაგალითად, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების გამო, პოლიტიკური მოსაზრებების, გაფიცვის უფლების გამოყენების გამო და სხვ.

38. ხშირად დამსაქმებელი არ განუმარტავს პირს მიზეზს, თუ რატომ არ მოხდა ამ უკანასკნელის აყვანა მოცემულ სამუშაო ადგილზე, თუმცა ხშირად მიზეზი ამ პირის რომელიმე პარტიის ან პროფესიული კავშირების წევრობაა. შრომის კანონითა კოდექსის ერთ-ერთი უდიდესი მინუსი არის ის, რომ კოდექსი არ

ავალდებულებს დამსაქმებელს გონივრული ვადით ადრე შეატყობინოს დასაქმებული სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, ან მისცეს მას ახსნა-განმარტება დათხოვნის მიზეზების შესახებ.

#### *რეკომენდაციები*

- *კვირის განმავლობაში შრომის საათების განსაზღვრული ლიმიტი უნდა დაწესდეს შრომითი კოდექსით. მისი დაწესება არ უნდა მოხდეს შრომითი კონტრაქტით, რომელიც ხშირად არღვევს დაქირავებულის უფლებებს.*
- *ასე რომ, 37-ე მუხლის „დ“ და 38-ე მუხლის I პარაგრაფი ამოღებულ უნდა იქნას შრომის კოდექსიდან.*
- *კანონმდებლობამ დამქირავებელს უნდა მოსთხოვოს მიზეზები და ახსნა-განმარტებები წარმოადგინოს თუ რატომ არ აიყვანა პირი სამუშაოზე, თუ კანდიდატი ითხოვს ასეთ განმარტებას.*